ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

16-39

დადგენილება № _____

5 დეკემბერი
"____" _____ 2014 წ.

ქ. თბილისი

საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების შესახებ
დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტისა, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 73-ე მუხლის მეორე პუნქტის „ფ" ქვეპუნქტის, და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების შესახებ" თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს 1999 წლის 21 დეკემბრის N24-1 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

<u>დანართი</u>

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების შესახებ დებულებით (შემდგომში-დებულება) განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა (შემდგომში-წოდება) და ჯილდოების (შემდგომში-ჯილდო) მინიჭების წესი და პირობები.

2. საპატიო წოდებები და ჯილდოები ენიჭებათ:

ა) საქართველოს მოქალაქეებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტატის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის. შესაბამის პროფესიულ სფეროში (დარგში) თავისი ხანგრძლივი ან/და წარმატებული საქმიანობის გამო, თბილისზე უანგარო ზრუნვისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის, ასევე თბილისელების ერთგული სამსახურისთვის.

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს - განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წინაშე თბილისთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

3. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭება შეუძლია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, მისივე ბრძანებით შექმნილი საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების საბჭოს დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 2. საპატიო წოდებები

საპატიო წოდებებია:

ა) თბილისის საპატიო მოქალაქე;

ბ) თბილისზე მზრუნველი და სხვა.

მუხლი 3. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მისანიჭებლად კანდიდატურის დასახელება

საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მისანიჭებლად კანდიდატურის წამოყენების უფლებამოსილება აქვს:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/3-ს;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარეს;

გ) თბილისის მუნიციპალიტეტის მერს;

დ) საზოგადოებრივ გაერთიანებას და სხვა.

მუხლი 4. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო

1. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო (შემდეგში - საბჭო) იქმნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

2. საბჭოს შემადგენლობას და საქმიანობას განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 5. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭება

1. საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს ანიჭებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, საბჭოს წარდგენის საფუძველზე.

2. საპატიო წოდებისა და ჯილდოს მინიჭებისას პირს გადაეცემა შესაბამისი მოწმობა და მედალი ან სიმბოლური გასაღები (შემდგომში სიმბოლური გასაღები) წარწერით „თბილისის საპატიო მოქალაქე“.

3. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭება და შესაბამისად მოწმობისა და ჯილდოს გადაცემა ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, დაწესებულ სახალხო დღესასწაულზე „თბილისობის“ ზეიმზე ყოველწლიურად ან წელიწადის ნებისმიერ დროს.

მუხლი 6. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების დამადასტურებელი მოწმობა, მედალი და სიმბოლური გასაღები

1. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების დამადასტურებელი მოწმობის, მედლისა და სიმბოლური გასაღების დამზადებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

2. საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების შესახებ ჩანაწერები კეთდება სპეციალურ წიგნში.

განმარტებითი ბარათი

„საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:
საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (შემდგომში თვითმმართველობის კოდექსი) მიღებით, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა აღარ გამოსცემს ნორმატიული ხასითის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ახალ ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანით. ამასთან, დღეს მოქმედი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი მისი უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებული ცალკეული საკიხების შესასწავლად ქმნის არა კომისიებს, არამედ საბჭოებს.
წარმოდგენილი პროექტი მიხედვით საპატიო წოდებებია „თბილისის საპატიო მოქალაქე“, „თბილისზე მზრუნველი“ და სხვა.
საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭება შეუძლია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, მისივე ბრძანებით შექმნილი საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭოს დასკვნის საფძველზე.
ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:
წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების წესი.
გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:
პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია